საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 33

02 03 2016 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 26 თებერვლის N03/1108 წერილის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 მარტის სხდომის N5 ოქმის მე-18 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 26 თებერვლის N03/1108 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 5 თებერვლის N301/03 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება ერთი ერთეული ავტომანქანის (ავტომანქანა HONDA სახელმწიფო ნომერი VV777UU. მესაკუთრე გიორგი მეურმიშვილი) თხოვების წესით აყვანის შესხებ მარნეულის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის სრულყოფილი მუშაობისათვის.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

ვალერი მეტრეველი
მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI